


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბივ ბეჭდ-  
უჭი სიფყვას, ცეცილებით და ჭიბებით ბუტ-  
თის გაფანა ყველა უჯარბისბაჭე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 18 აპრილი. 2018 წ. №79 (8480), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

იუსტიციის  
ბუკალი

## მადლობა ჩვენს ეუბოლიურ ენას, რომელიც ყველა ქართველს გვაერთიანებს!

სიტყვა, რომელიც უნდა მეთქვა ჩემი და ჩემი კოლეგების (ღამანა მელიქიშვილის, შუქია აფრიდონიძის, ბრიგერ ფარულავას) ღირსების ორდენით დაჯილდოებისას 2018 წლის 14 აპრილს

დღეს კარგი დღეა, ნათელი დღეა, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღვნიშნავთ ქართული ენის გადარჩენის, მისი შენარჩუნებისთვის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებს. პირადად ჩემთვის საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე 14 აპრილი ყველაზე კაშკაშა დღესასწაულია. იმ დღეს ერთი სულისკვეთებით ვიყავით შეკრული ერთი და ბერი, მსცოვანი და ახალგაზრდა, მორწმუნე და ურწმუნო...  
ღიახ, ჩვენ ის ერთი ვართ, ვინც ჯერ კიდევ X საუკუნეში დიდებული ჰომინი მიუძღვნა ქართულ ენას. მხედველობაში მაქვს იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“; ის ერთი ვართ, სადაც გრძელდება ტრადიცია და XX საუკუნეშიც, პრაგმატულსა და პოლიტიკულ ეპოქაშიც, ბრწყინვალე ლექსები იქმნება ქართული ენის სადიდებლად. გავიხსენოთ, მაგალითად, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის პოეტური აღმადგენით გაცისკროვნებული სტრიქონები; ის ერთი ვართ, რომელმაც ძეგლი დაუდგა ქართულ ენას და მასში ჩააქსოვა იაკობ გოგებაშვილის დიდებული იდეა – დედაენისა...

იღეს წიგნთა წიგნის – ბიბლიის ყოველი სტრიქონი და საზრდოდ დაუტოვეს შთამომავლობას. ამ ენაზე დაიბადა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“, ამ ენაზე შექმნილი მთელი ჩვენი სამწიგნობრო მეგვიდრეობა. ასე რომ, ქართული ენა ჩვენი სამკვიდრებელია, ჩვენი სავანეა, ჩვენი განძი და სიმდიდრეა, რომელიც მუდამ თან ახლავს ყოველ ჩვენგანს.  
მე ქართული ენისა და ლიტერატურის მოკრძალებულ მსახურად მივიჩნევ თავს. არასდროს, არავისგან, არანაირი ჯილდო არ მიმიღია, არც მიმანდა თავი ღირსად გამორჩეული პატივისა (დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ამბობდა: „ისეთი რა გამიკეთებიაო?“ მე რაღა მეთქმის!). გაუბედავად მოვედი დედაუნივერსიტეტში, სადაც ლამის 60 წელია, ვიღვნი... ცოცხლობდი, ჯილდოსთვის თავი „არ მეღირსებოდა“. ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება: ამ სანუკვარ ჯილდოზე უარის თქმის უფლება არ მქონდა.  
მადლობა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც ღირსებააყრილ საზოგადოებას ადამიანური ღირსების დაცვისკენ მოგვიწოდა და დაანესა ასეთი ამამაღლებელი შინაარსის მომცველი ჯილდო – ორდენი ღირსებისა.  
მადლობა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია ჩვენი გამხნელება.  
მადლობა ჩემს კოლეგებს: გრივერ ფარულავას, ღამანა მელიქიშვილს, შუქია აფრიდონიძეს, რომელთა პროფესიონალიზმი და პრინციპულობა ძალას მმატებდა.

მადლობა ჩვენს სტუდენტყოფილებს, რომელთა უმრავლესობაში ხარობს უნივერსიტეტსა თუ სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში დაფესვიანებული ნერგი კეთილი.  
მადლობა ჩვენს ნორჩ პატრიოტებს, სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს ქართული ენის დასაცავად დაწესებულ მეტად მნიშვნელოვან კონკურსში – „არა – ბარბაროზებს“ და ქების სიგელები დაიმსახურეს. მადლობა მათ მასწავლებლებს, რომლებიც დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებიან.  
მადლობა ჩვენს მშობლიურ ენას, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ერთადერთი ფენომენია, რომელიც ყველა ქართველს გვაერთიანებს!  
ღმერთმა გვიმრავლოს სიკეთით სავსე ასეთი დღეები. არა – აბრამისას, არა – სიქულვილს, არა – ბორცბაბას!  
**ლაურა ბრიგოლაშვილი,**  
14.IV.2018 წ.  
ტელ: 239-70-76




**ემანუელ მაკრონი:**  
**მე პუტინის თანასწორი ვარ!**  
საზრანბათის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პარალელი გაავლო მასსა და რუსეთის პრეზიდენტს შორის და განმარტა, თუ რატომ იყო სირიაზე მიტანილი დარტყმები. ამის შესახებ მან რადიოსადგურ RMC-თან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.  
RMC-ის თანამშრომელი ჟან-ჟაკ ბურდა ამბობს, რომ ინტერვიუს შემდეგ მაკრონმა, რომელზეც მან შეაჯამა თავისი პრეზიდენტობის პირველი წელი, სიტყვა გაცვალა რუსეთის საკითხზე. მე თანასწორი ვარ პუტინის. გარდა ამისა, პუტინს ჩემი ესმის. მე გადავწყვიტე სირიაზე დარტყმა, რათა გაეგო პუტინს, რომ ჩვენ იქ ვართ. მას ესმის ასეთი საქციელის და თქვენ ნახავთ, ეს გადაწყვეტილება აღადგენს მშვიდობას სირიაში...




**ანბელა მერკელი: უახლოეს ხანში გაიმართება უახლოეს ხანში შედგება, თუმცა ზუსტი დრო და თარიღი ჯერ არ შეგვითანხმებია, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ჟურნალისტებთან საუბრისას ბერლინში.**  
„მე მიმანია, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში შევხვდებით, მაგრამ ზუსტი თარიღი და დრო დღეს არ იყო შეთანხმებული“, – აცხადებს კანცლერი.  
„მივიჩნევ, რომ თემების რაოდენობა, რაზეც ჩვენ უნდა ვისაუბროთ, დაწყებული უკრაინის და ლაზას საკითხიდან, სირიის საკითხების კომპლექსამდე, ესაჭიროება პირისპირ განხილვა უახლოეს მომავალში“, – დასძინა მერკელმა.

**თურქული  
სკოლა  
ბათუმში...  
უნაბარისოდ!**



**იმ, სადას  
დასაბაღათს  
აღმოსავლეთის  
სურნელი  
ანდის**

**ვასილ პაპრიაშვილი –  
საქართველოს  
ლომონოსოვი**





### პრაზილიანთა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) გენერალური დირექტორი იუკია ამაწო მიიღო, რომელიც საქართველოში ვიზიტით იმყოფება

საპრეზიდენტო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) გენერალური დირექტორი იუკია ამაწო მიიღო, რომელიც საქართველოში ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა და ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა განიხილეს, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს რეფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

აეს-ს გენერალურმა დირექტორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულების რეფორმირების მხარდაჭერა და გრძელვადიანი თანამშრომლობის ინტერესი გამოთქვა. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და სტუმარს ამომწურავი ინფორმაცია მიანოდა.

### „ცინცაძე-კარტოზიას“ კვანძის პროექტი



დღეიდან ცინცაძე-კარტოზიას სატრანსპორტო კვანძის პროექტი იწყება, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ჩვენ დღეს ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას, ეს არის ახალი სატრანსპორტო კვანძი ცინცაძე-კარტოზიას პროექტი. ამ პროექტის

განხორციელება დაახლოებით, 2 მლნ 700 ათასი ლარი დაჯდება და 5 თვე დასჭირდება მის დასრულებას. მოწყობა ორდონიანი კვანძი, გზაგამტარი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას. ასეთი პროექტები მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანების კომფორტი, მოქალაქეების ურბანული საჭიროებები მონესრიგებული იყოს ქალაქში. ჩვენ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება გვაქვს დაწყებული ქალაქში, თუმცა ეს მგონია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია.

### საპრაზილიანთა კანდიდატზე მსჯელობა დაწყებულია

დედაქალაქის მერი აცხადებს, რომ გუნდში საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა დაწყებულია. ჯერ საკმაოდ დიდი დროა არჩევნებდე. მსჯელობა მიმდინარეობს და კანონის ფარგლებში, როგორც არის მითითებული დრო, ჩვენ წარვადგენთ საპრეზიდენტო კანდიდატს, — განაცხადა გუშინ კახა კალაძემ.

### უსაფრთხოების გარეშე ეკონომიკური განვითარება ვერ იქნება სწრაფი და მდგრადი

უსაფრთხოება არის ის მინიმალური მოთხოვნა, რომლის გარეშეც ვერანაირი ეკონომიკური განვითარება ვერ იქნება სწრაფი და მდგრადი, — განაცხადა შს მინისტრმა საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრებთან შეხვედრაზე.

„გვესმის, რომ საკმაოდ მწვავე გამოწვევების წინაშე მდგომ რეგიონში ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. ასევე კარგად გვესმის, რომ ჩვენი ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვანი სექტორები, როგორცაა ტურიზმი, ტრანზიტი, ენერჯეტიკა — პირდაპირ არის დაკავშირებული უსაფრთხოების თემებთან. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა იქნება შინაარსობრივი, პრაქტიკული და შედეგის მომტანი ორივე მხარისთვის. ჩვენ დღეს მოგიყვებით იმ რეფორმებზე, რომელსაც შს სამინისტროში ვახორციელებთ და მზად ვართ, თქვენ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას, კავშირშია ის თუ არა თქვენს კონკრეტულ ბიზნესებთან ან ეკონომიკასთან, შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი“, — განაცხადა გიორგი გახარია.



### ვეფხია ბაქრაძეს პატიმრობა შეეფარდა

ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულს ვეფხია ბაქრაძეს პატიმრობა შეეფარდა. პატიმრობა შეეფარდა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულ თემურაზ ბაქრაძესაც. გადან ყვეტილება მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა გუშინ მიიღო.

### მსგავსი ტრაგიკული შემთხვევები უმკაცრესად უნდა იყოს დასჯილი!

ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შს მინისტრი აცხადებს, რომ უმკაცრესი ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული და გამოძიება უნდა დასრულდეს, რაც შეიძლება სწრაფად. „ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უმკაცრესი ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული, გამოძიება უნდა დასრულდეს, რაც შეიძლება სწრაფად. მსგავსი ტრაგიკული შემთხვევები უმკაცრესად უნდა იყოს დასჯილი“, — განაცხადა გიორგი გახარია.

### სისარულისგან ხელაბის უფნება დაიწყეს

უმრავლესობის წარმომადგენლებმა ამ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით სისარულისგან ხელაბის უფნება დაიწყეს, — ეს განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა ფიქრია ჩხირაძემ ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შემდეგ გაკეთებული განცხადებების შეფასებისას გააკეთა. ჩხირაძემ „ქართულ ოცნებას“ და „ევროპულ საქართველოს“ პრეზიდენტის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ „წინასწარმეტყველ ზარდასაშულისგან“ გაკეთებულ განცხადებას უმცირესობის წარმომადგენელი „დიდი ხალხისთვის შეუერთდა“ და პრეზიდენტის მისამართით გააგრძელა ის ბინძური და ცილისმამბებლური კამპანია, რასაც უმრავლესობა ეწვევა.



— სწორედ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა უმრავლესობის წარმომადგენლებთან ერთად გააკეთა ის, რომ არც ერთი პასუხისმგებელი უწყება არ გამოკვეთილიყო ამ საქმეში, ვინ არ გასცა თავის დროზე შემაკავებელი ორდერი, თუ გაიცა ეს შემაკავებელი ორდერი, რამდენად ეფექტური იყო ამის გამოყენება, — განაცხადა ფიქრია ჩხირაძემ.

## „კომისია არ იყო უფლებამოსილი, „ნტვ+“-სთვის ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა“

საპრეზიდენტო კომისიის ვარაუდით კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პლუს“-სთვის ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა, — ამის შესახებ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაშია ნათქვამი:

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით, „ნტვ პლუსი“ 2016 წლიდან საქართველოში თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირია. „ნტვ პლუსის“ განცხადებით, საქართველოში არ არის მხოლოდ ბიზნესპროექტი და მას „სოციალურ მისიადაც“ განიხილავენ.

აღნიშნული კომპანიის ავტორიზაციის გავლასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განაცხადა, რომ „კომისიაში დანერგული პრაქტიკის მიხედვით, პროცედურულად, ნებისმიერი დაინტე-

რესებული პირი მარტივი ავტორიზაციის საშუალებით ავსებდა დეკლარაციას, მათ შორის უცხოური კომპანიის წარმომადგენელი და თუ ის კანონით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტს წარადგენდა, ავტომატურად იღებდა ავტორიზაციას. კომისიამ ეს მიდგომა შეცვალა და დღეს უკვე უცხოურ კომპანიას მხოლოდ ავტორიზაციის საფუძველზე არ შეუძლია საქმიანობის დაწყება, იმისთვის, რომ კომპანია ქართულ ბაზარზე შემოვიდეს, მან სამეწარმეო რეესტრში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, რეგისტრაციის დასრულებული მომობა კი წარმოადგინოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში.“

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, ავტორიზაციის მსურველი იურიდიული პირის მიერ დეკლარაციაში სხვა ინფორმაციასთან ერთად მითითებული უნდა იყოს მე-

წარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები და თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული რეესტრიდან ამონაწერი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებული პირი, მათ შორის უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ამდენად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის მსურველი პირი რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში. შესაბამისად, კომისია არ იყო უფლებამოსილი „ნტვ-პლუს“-სთვის ავტორიზაციის გავლის შესაძლებლობა მიეცა.

არასწორია ის განაცხადიც, რომ კომისიამ შეცვალა პრაქ-

ტიკა ამ საკითხთან მიმართებაში და დღეს აქედან გამომდინარეა საჭირო ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. 2016 წელსაც და დღესაც კანონმდებლობა ავტორიზაციის გავლელად ცალსახად ითხოვს იურიდიული პირების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციას. კანონის მოთხოვნებს კი კომისია საკუთარი პრაქტიკით ვერ შეცვლის.

ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომისია „ნტვ-პლუსს“ მიმართავს წერილით კომისიაში წარმოდგენილი დეკლარაციაზე საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის დართვასთან დაკავშირებით, დოკუმენტაციის წარმოდგენლობა კი გამოიწვევს ავტორიზაციის შეჩერებას.

დღეს არსებული მდგომარეობით, დამატებითი ინფორმაციის წარდგენის დავა-

ლება — კერძოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის გავლა და შემდგომ ამონაწერის კომისიაში წარდგენა, სამართლებრივ პრობლემას ვერ აღმოფხვრის, ვინაიდან რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს ახალ სუბიექტს, რომელიც ვერ იქნება დღეს თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე ავტორიზებული პირი — „ნტვ-პლუსი“.

საია მიიჩნევს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სრულყოფილად უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საკითხი, შეუჩეროს ავტორიზაცია თანამგზავრული ტრანზიტული მაუწყებლობის მომსახურებაზე საქართველოში ავტორიზებულ „ნტვ-პლუსს“ და მიმართვის შემთხვევაში თავიდან იმსჯელოს ახალი — საქართველოში რეგისტრირებული სუბიექტის ავტორიზაციის საკითხზე.“



# თურქული სკოლა ბათუმში, უნებართვოდ!

**ბათუმში** ახალი ბულვარის ტერიტორიაზე, ოთხსართულიან შენობაში თურქული სკოლა უკვე ორი წელია, რაც ავტორიზაციის გარეშე ფუნქციონირებს. სასწავლო პროცესი ამ შენობაში 2016 წლიდან დღემდე მიმდინარეობს, თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებად აღიარებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი აუცილებელი პროცედურა სკოლას არ გაუფორმია. სკოლა ექვემდებარება ბათუმში არსებულ თურქეთის საკონსულოს, სადაც აცხადებენ, რომ იგი საქართველოს მთავრობის თანხმობით დაფუძნდა.

აჭარის საზოგადოებრივ მაუნციპალის საკონსულო წერილობით აცხადებენ, რომ აღნიშნული სკოლა ამჟამად მხოლოდ თურქულ ენაზეა ფუნქციონირება. „სკოლასთან დაკავშირებით საქართველოს და თურქეთის მთავრობებს შორის მომზადდა ორმხრივი შეთანხმება, რომლის ხელმოწერა უახლოეს მომავალში იგეგმება და ბოლო ეტაპს გადას. აღნიშნული სკოლა გაზრდის ახალ თაობებს, რომლებიც თურქეთსა და საქართველოს შორის არსებულ მეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს“, – ნათქვამია ბათუმში თურქეთის საკონსულოს ოფიციალურ წერილში, რომელიც საკონსულომ აჭარის საზოგადოებრივ მაუნციპალს გაუგზავნა.

თავად სკოლის ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს და უარს აცხადებს ადგილობრივ მედიასთან ურთიერთობაზე, დაცვის სამსახური კი სკოლასთან მიხლოებისას ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებას ითხოვს: „არ შეიძლება-მეთქი ვინ ვბრძანდები და დაცვა ვარ!“ აჭარის განათლების მინისტრი ინგა

შამილიშვილი ადასტურებს, რომ სკოლას ავტორიზაცია არ აქვს გავლილი და განმარტავს იმ აუცილებელ პროცედურას, რომელიც სკოლამ უნდა გაიაროს იმისთვის, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო პროცესი წარმართოს: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორიზაციის პროცესი, რომლის სტანდარტებს ადგენს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. სწორედ ის მიაღწევს თვალს ავტორიზაციის პროცესს და მხოლოდ ამ ყველა პუნქტის გავლის შემდეგ, როდესაც სკოლას მიენიჭება ავტორიზაცია, განახორციელებს ის საგანმანათლებლო პროცესს. ამიტომ, ჯერჯერობით, ამ პროცესებში არ არის ჩართული ეს სკოლა და თუ იგი გაივლის ამ პროცესს, შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. ეს არის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პრეროგატივა, ის ახორციელებს ავტორიზაციის პროცესს“.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში განმარტავენ, რომ არაავტორიზებული სკოლები მათ არ ეხებათ, ბათუმში მოქმედ თურქულ სკოლას კი მათთვის განაცხადით ჯერ არ მოუშარტავს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საგანმანათლებლო საქმიანობა შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე ისჯება ჯარიმით. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ბათუმის ოფისში ფიქრობენ, რომ თურქული სკოლის საკითხით გამოძიება უნდა დაიწერეს დედაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე:

„აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, აკრედიტაცია. მას არეგულირებს საკანონმდებლო აქტები. შესაბამისად, ეს აუცილებელი მოთხოვნაა, რომლის გარეშე შეუძლებელია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით. შესაძლებელია საქართველოში ფუნქციონირებდეს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მაგრამ ამას სჭირდება სპეციალური ნებართვა, რეგულაცია და აკრედიტაციის გავლა. ამის გარეშე კი დაუშვებელია განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც იწვევს პასუხისმგებლობას და ეს ყველაფერი უნდა დაადასტუროს გამოძიებამ“, – ამბობს იურისტი პაატა დიასამიძე.

ბათუმში თურქული სკოლა ავტორიზაციის გარეშე, უნებართვოდ აშენებულ შენობაში ფუნქციონირებს. ქალაქის ცენტრში მდებარე ოთხსართულიანი შენობის მშენებლობა ორი წლის წინათ დაიწყო და ისე შევიდა ექსპლუატაციაში, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის ნებართვა დღემდე არ აქვს. ბათუმის მეორე ლაშა კომპანიის ამბობს, რომ ობიექტი დაჯარიმებულია: „იმ ეტაპზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სკოლა დაჯარიმდა. ამ ეტაპზე კი ჩვენ ვმუშაობთ განათლების სამინისტროსთან ერთად, ვინაიდან სკოლას აქვს ავტორიზაციასთან არსებული პრობლემებიც და გარკვეულ ქმედებებს განახორციელებს ამ მიმართულებით. დემონტაჟი არის უკიდურესი ფორმა, მანამდე გასარკვევია და მოსაგვარებელია სხვა პროცედურული საკითხი“.

თურქული სკოლა ბათუმში 2016 წლის 19 სექტემბერს გაიხსნა და დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როდესაც ბათუმში უკვე არსებული შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმს ავტორიზაციის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა მას შემდეგ, რაც ბათუმში თურქეთის კონსულმა განაცხადა, რომ შაჰინის სკოლა-ლიცეუმი ფეთულა გიულენის მიმდევრებს ეკუთვნის. გიულენს კი, თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი გადატრიალების მცდელობის მთავარ ავტორად ასახელებს.

ამ ფაქტის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტრომ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო შაჰინის სკოლა-ლიცეუმს ავტორიზაცია შეუჩერა და სკოლამ საქმიანობა შეწყვიტა. შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ელგუჯა დავითაძე ამბობს, რომ ახალი თურქული სკოლის იმ დროს დაფუძნება, როდესაც შაჰინის სახელობის თურქულ ლიცეუმს პრობლემები შეექმნა, ეჭვს ბადებს: „ემთხვევა პერიოდი – ჩვენი სკოლის დახურვამდე ამ სკოლის დაფუძნება, ყველა ჩვენი თურქი მოსწავლის გადინება და იმ სკოლაში გადასვლა. დაახლოებით 120-მდე მოსწავლე გადავიდა იმ სკოლაში ჩვენი სკოლიდან. ისინი იყვნენ თურქეთის მოქალაქეები, საკონსულოს თანამშრომლები, თურქი მოქალაქეების შვილები, რომლებიც საქართველოში ბიზნესს აწარმოებდნენ საქმიანობას ეწევიან. ისე ემთხვევა ყველაფერი ერთმანეთს, რომ ამ პროცესისთვის მიმდინარეობდა მზადება და ამ თურქული სკოლის დაფუძნებელი, ვინც ააშენა ეს სკოლა, ჩვენი სკოლის დახურვის შემდეგ მისი განცხადება ღიად იყო მის ფეისბუქგვერდზე: ბათუმში დაიხურა ტერორისტების სკოლა და ჩვენ მიერ დაფუძნებული სკოლა კი ფუნქციონირებას აგრძელებს. ეს ინფორმაცია ღიად ეყო დამფუძნებელს, კომპანია „მეტრის“ მფლობელს“.

შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი ელგუჯა დავითაძე ამბობს, რომ სკოლა-ლიცეუმის დამფუძნებლებმა სასამართლოში გაასაჩივრეს საქართველოს განათლების სამინისტროს გადამწყვეტილება სკოლისთვის ავტორიზაციის შეჩერების შესახებ, დავა ამ დრომდე მიმდინარეობს. მისივე თქმით, საქართველოში ყველა ინსტანციაში საქმის განხილვის შემდეგ ისინი სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ სარჩელის შეტანას.

საა ლორთქიფანიძე

## აჭარის რეკლამა უკვე EURONEWS-ის პორტალზე გადის

ტელეკომპანიის ეთერით აჭარის ტურისტულ პროდუქტებს 195 ქვეყანაში ეცნობიან. სატელევიზიო რეკლამის გარდა, წელს ტელეკომპანია „ევრონიუსის“ მაცურებელი აჭარის ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ მომზადებულ გადაცემებსა და ბლოგებს გაეცნობა. ყურნალისტები აჭარას აპრილის დასაწყისში



სტუმრობდნენ. ევრონიუსის ურნალისტი რეგიონს განმეორებით ზაფხულსა და უკვე შემოდგომაზე, მსოფლიო საქადრაკო ოლიმპიადის გასაშუქებლად ეწვევიან. პარალელურად აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი მოლაპარაკებებს აგრძელებს ტელეკომპანიებთან „დოიჩე ველე“ და „CNN“, სადაც ასევე იგეგმება რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლების გაშვება. „ჩვენ დავინყვით აქტიური სატელევიზიო რეკლამა BBC-სა და უკვე ევრონიუსის ეთერით, რაც ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ცნობადობის გაზრდას ემსახურება. პარალელურად ვგეგმავთ აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლების გაშვებას საერთაშორისო ტელეკომპანიების დოიჩე ველესა და CNN-ის ეთერით. ამას დაემატება სატელევიზიო რეკლამა უკვე სამიზნე ქვეყნების ადგილობრივ ტელევიზიებში, მაგალითად, პოლონეთში, ლიტვაში,

ლატვიასა და ესტონეთში. ჩვენი 2018 წლის სარეკლამო აქტივობები 16 სამიზნე ქვეყნებში ჩატარებულ კვლევებს ეყრდნობა და ვიმედოვნებთ, რომ მისი შედეგი რეგიონში ტურისტების ზრდა იქნება.“ – განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ სულხან ლლონტაძემ.

## იაპონიაში გამოფენაზე ქართული ღვინო წარადგინეს

იპაონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში „Wine and Gourmet Japan 2018“ ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია „საქართველო – ღვინის აკვანი“ გაიმართა, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა. ღვინისძიებას იაპონელი ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, წელს გამოფენაში მონაწილეობდნენ შემდეგი კომპანიები: „ვინაგორა“, „შუმი“, „ვაინმენი“, „ჩიგო-გიდის ღვინოები“, „ბესინი“, „კახური ტრადიციული მღვინეობა“, „შილდა“, „მელენიო-ბა დანიელი“, „მილ დიანი“,



„დეულაძეების ღვინის კომპანია“, „მელენიო-ბა ხარეზა“, „გიუანანი“, „მარანული“, „თბილღვინო“, „შატი მუხრანი“ და GWS.

გამოფენასა და ქართული ღვინის დეგუსტაციას, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე დაესწრო.

## უპროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები კახეთში განიხილეს

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ შავლია შვილი კახეთში იმყოფებოდა, სადაც რეგიონების საფრთხიანობის რეგულაციების განხილვას დაეწყო. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის დარგში არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება აზიური ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლისთვის დაგეგმილ ღონისძიებებს დაეთმო.

ასევე აღინიშნა, რომ პროცესში სამინისტროს ყველა უწყება თვითმმართველობებთან და სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად კოორდინირებულად იქნება ჩართული ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის გასატარებელ ღონისძიებებში.

საზოგადოებრივი სიხარული

2018 წლის 27 მარტს ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიას მნიშვნელოვანი ფურცელი შეემატა - ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელთა ინიციატივით მერიის თეთრ დარბაზში ხელი მოეწერა „მემორანდუმს ქალაქის თვითმმართველობის და საზოგადოების საქმიან ურთიერთობათა გაღრმავების, თანამშრომლობისა და ძალისხმევის გაერთიანების შესახებ“.

თვითმმართველობისა და საზოგადოების კოლეგიალური თანამშრომლობითა და ერთობლივი ძალისხმევით მემორანდუმში ითვალისწინება:

- საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, გაანალიზებასა და გადამწყვეტილებათა მიღებისას მის უცილობელ გათვალისწინებას. საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებას.

- ხელისუფლების ადგილობრივი რგოლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელებას და საზოგადოებრივი ზეგავლენის უზრუნველყოფას.

- მუშაობის გამჭვირვალობას ხელისუფლების ყველა რგოლში.

- მართვაში სამოქალაქო ჩართულობის აუცილებელ უზრუნველყოფას.

- თვითმმართველობის და მისი სამსახურების პირველ პირებთან მოქალაქეთა მიღების სრულყოფას, განცხადებებზე, წინადადებებსა და საჩივრებზე დროულ და ობიექტურ რეაგირებას.

- საბიუჯეტო თანხების გამჭვირვა-

მემორანდუმზე ხელს აწერენ



მემორანდუმზე ხელს აწერენ ქალაქის მერი გიორგი ჭილაგარიძე, საზოგადოების წარმომადგენელი ბენია თხილაძე.

ლე და სამართლიან ხარჯვას.

- ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელთა, სამსახურების უფროსთა ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

- განუყოფელი მუშაობის შესახებ პერიოდულად ინფორმაციის წარდგენას „სა-

ზოგადოებრივი გაერთიანება - სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოსა“ და „სამოქალაქო გაერთიანება - სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი - სადისკუსიო დარბაზ „ღირსების“ პრეზიდენტის სხდომაზე, საუბნო საზოგადოებ-

რივ კრებებზე და სხვა. თვითმმართველობის სახელით „მემორანდუმს“ ხელი მოაწერა ქალაქ ქუთაისის მერმა გიორგი ჭილაგარიძე და საკრებულოს თავმჯდომარემ ნიკა ლატარიამ, საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით კი - კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარემ ბენია თხილაძემ და დარბაზ „ღირსების“ პრეზიდენტის თავმჯდომარემ ირმა ქურასბედიანმა.

მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: მერიის მოადგილე ნინო თვალთვაძე; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უფროსი თონა გიორგაძე; საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე ალექსანდრე შენგელია; საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე მურთაზ კანკაძე; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე ჯემალ წულაძე; აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პეტრე გელგვიძე; ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ავთანდილ გენაძე.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს პრეზიდენტი, ქუთაისი

ქართული კომპანია თელ-ავივის ყოფილი მერისგან მილიონებს ითხოვს

ისრაელის ქნესტის ყოფილი წევრი რონი მილო, რომელიც ასევე იყო მინისტრი რამდენიმე მთავრობაში და თელ-ავივის მერი, გახდა მოპასუხე საჩივარზე, რომლის განხილვაც დაიწყო ქალაქის სასამართლომ 2018 წლის 11 აპრილს.

მოსარჩელე მხარედ გამოდის ქართული კომპანია „შინაძე“, რომელიც უწევდა საკონსულტაციო მომსახურებას რონი მილოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებს. პარტნიორების ინტერესთა სფერო იყო საქართველოსთვის შეიარაღების და სამოქალაქო თავდაცვის საშუალებათა მიწოდება.

სარჩელეში ნათქვამია, რომ მილოს კომპანია მუშაობდა ისრაელის სამხედრო სანარმოებთან, და უზრუნველყოფდა მათ მიერ კონტრაქტის მიღებას საქართველოში, რაშიც იღებდა საკომისიოს გარიგების 33% ოდენობით. შეთანხმება „შინაძესთან“ ითვალისწინებდა მოგების გაყოფას.

მოწივიანის განცხადებით, პარტნიორებს შორის სუფევდა სრული ნდობის ატმოსფერო - „შინაძეში“ ელოდნენ მილოს კომპანიისგან სრულ განმარტებას მიღებული სახსრების თაობაზე, თუმცა, მათ ეს ინფორმაცია არ მიუღიათ - ყოფილმა დეპუტატმა და მერმა უარი თქვა თავისი თბილისელი პარტნიორებისთვის ანგარიშის ჩაბარებაზე.

საჩივარში ასევე ნათქვამია, რომ შეთანხმების შესრულების მოთხოვნის საპასუხოდ, მილოს სტრუქტურებმა წამოიწყეს ფართომასშტაბიანი კამპანია და სხვადასხვა საბაბით მოითხოვედნენ „შინაძეს“ მფლობელებისგან კონტრაქტების შესახებ ინფორმაციის უფლებაზე უარის თქმას. მომ-

ჩივანი განიხილავს ამას როგორც პირდაპირ ზენოლას.

ამის გარდა, რონი მილომ გამოიყენა თავისი კავშირები საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რის შედეგადაც უწყებამ განახორციელა „შინაძეს“ საქმიანობის შემოწმება, რომლის დროსაც კომპანიის მფლობელებისგან მოითხოვედა მილოს მიმართ პრეტენზიებზე უარის თქმას.

საქართველოში ებრაული კომპანიების „Elbit“-ის და RAFAEL-ის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტების ფინანსური მოცულობიდან გამომდინარე, მილოს ყოფილმა პარტნიორებმა გააკეთეს დასკვნა, რომ მათი ზარალი აღწევს მილიონობით შეკველს - ამის შესახებ განაცხადა „შინაძეს“ ადვოკატმა ილან სოფერმა.

თელ-ავივის ყოფილი მერის კომპანია კატეგორიულად უარყოფს ბრალდებებს, და აცხადებს რომ კონტრაქტი იყო ხელმოწერილი „შინაძეს“ ყოფილ მფლობელებთან და დღევანდელ მოწივიანებს არაფერი საერთო არა აქვთ იმ გარიგებებთან.

მოპასუხის ინფორმაციით, მხარეების მიერ დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ მფლობელების შეცვლის შემთხვევაში ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

სასამართლო პროცესი დაიწყო 11 აპრილს.

VESTY.CO.IL

კანონპროექტი



უცხოელებზე მიწის გაყიდვა გამორიცხულია!

სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისების შესახებ საკანონმდებლო ორგანოში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ კანონპროექტის ავტორი, პარლამენტის აგრარულ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ოთარ დანელია იმ კრიტერიუმებს ასახელებს, რა შემთხვევაში მოხდება უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა. „სასოფლო მიწის შესახებ ორგანული კანონით“ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი საქართველოში სასოფლო მიწას ვერ შეიძენს, მას შეეძლება მხოლოდ იჯარით მისი მიღება.

თუ უცხოელებს მიწის სურთ საქართველოში სასოფლო მიწის შეძენა, უნდა დააფუძნოს საქართველოში კომპანია, სადაც მისი, ან სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილობრივი მონაწილეობა 49%-ს არ აღემატება. ქართველი პარტნიორის (ან პარტნიორების) წილი 51% ან მეტი უნდა იყოს.

დიდ პროექტების შემთხვევაში როგორც არის მაგალითად ჰესი ან პორტი, სადაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია იდება და კონსორციუმში უდიდესი წილი აქვს უცხოელ ინვესტორებს, მთავრობას ექნება მიწის მიყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა.

მიწის გასხვისების დროს აუცილებელია, სწორი კომუნიკაცია მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან და გათვალისწინებული იყოს თემის, სოფლის თუ რაიონის ინტერესები, როდესაც კომპანია სადაც ინვესტორები ფლობენ 49%-ს, მიწის შექმნას მოახდენენ.

კანონმდებელი ამბობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კრიტიკულ მასას არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში, უფრო

მეტად, ადგილობრივი ინვესტიციები ბევრად აღემატება უცხოურს.

„თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი შემცირდება, მე არ ვიზიარებ აბსოლუტურად. შარშან, სოფლის მეურნეობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო 3 მილიონი დოლარის ფარგლებში, შარშანწინ - დაახლოებით ორჯერ მეტი. დღევანდელი მოცემულობით, როდესაც აბსოლუტურად ლიბერალური იყო ეს მიდგომა, ვხედავთ, რომ არანაირი კრიტიკული მასა უცხოური ინვესტიციებისა არ იქმნება და უფრო მეტიც, ადგილობრივი ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში ბევრჯერ აღემატება უცხოურს. ამიტომ ჩვენ ვერ ვხედავთ საფრთხეს იმისას, რომ სვალადარ შემოვა ეს ინვესტიციები“, - განაცხადა დანელიამ.

მიუხედავად მრავალი არგუმენტისა, ეკონომისტების ნაწილი და განსაკუთრებით საბანკო სექტორი კვლავინდებურად ეწინააღმდეგება პარლამენტართა მიდგომას სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით. კომერციულ ბანკების წარმომადგენლები ამბობენ, რომ თუკი არ ექნებათ უფლება გადაუხდეელი კრედიტის შემთხვევაში უზრუნველყოფაში ჩადებული უძრავი ქონება და არეგისტრირონ, ისინი ამ სექტორში კრედიტის გაცემაზე უარს იტყვიან.

მიწის კანონი პარლამენტში განსახილველად საგაზაფხულო სესიაზე შევა. მისი დამტკიცება და ამოქმედება წელსვე უნდა მოესწროს.

ზაბა დანელია



# იმ, სადაც დასავლეთს აღმოსავლეთის სურნელია ასდის



**დიდი საქველმოქმედო კულტურული საქმიანობის პარალელურად, რომელსაც საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის ლიდერი კომპანია მაგთიკომი აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ეწევა, წარმატებით გრძელდება მისი კულტუროლოგიური მოღვაწეობაც. სამამულო შემოქმედებითი, სამეცნიერო, საინჟინრო ინტელიგენციის თვალსაზრისით წარმომადგენლებთან შეხვედრების უცვლელი ადგილი მაგთიკომის ცნობილი კლუბია რუსთაველის პროსპექტზე. ამ ჯერზე შეხვედრა მოეწყო საქართველოს არქიტექტურის გამოჩენილ წარმომადგენელთან, დედაქალაქის საპატიო მოქალაქესთან, ბატონ ბიბას ბათიაშვილთან, ხოლო საუბრის თემა თბილისის არქიტექტურის დღევანდელი მდგომარეობა და, ნაწილობრივ, სამომავლო პერსპექტივები გახლდათ.**

– ზომბადად თუ ვიტყვი, ჩვენმა ერმა უამრავი სწრაფობა აუარება განსაცდელს რომ გაუძლო და, ბევრი დღეს უკვე გამქრალი ხალხისა და ქვეყნისგან განსხვავებით, თავი დღემდე თუ მოიტანა, ეს, უწინარესად, ჩვენი რწმენისა და კულტურის წყალობაა, ამიტომაც მათდამი უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა გვმართებს. სამამულო კულტურის ერთ-ერთი მშვენიერია კი ქვეყნის გულია, ჩვენი სათაყვანებელი თბილისი, მისი არქიტექტურა, ამიტომაც დიდად საინტერესოა იმის ცოდნა, თუ საიდან იღებს იგი სათავეს, როგორია მისი წარმომავლობა და რანაირი უნდა იყოს ხვალისდელი დღე, რომელიც იქნებ ყველამ ერთად განვსაზღვროთ, რადგან წინ განვიტარებთ რამდენიმე გზა გვიღვეს, ამიტომ არჩევანს დიდი მნიშვნელობა აქვს.

სებით სამართლიანი იქნება იმის თქმა, რომ არქიტექტურა, გარკვეულწილად, მისი შემქმნელი საზოგადოების სარკეა, იმიტომ, რომ მასში ყოველდღიური ყოფის ყველა ელემენტი შემოყვანილი და, ამის გათვალისწინებით, მართებულია იმის თქმაც, რომ, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, ჩვენი ევროპელობა თბილისის არქიტექტურითაც დასტურდება. ამის საუკეთესო მაგალითია დედაქალაქის უძველესი კალაუბანი, რომელიც დღევანდელი თავისუფლების მოედნით, პუშკინის ქუჩითა და, მეიდანითაა შემოსაზღვრული. მაშინ, როცა ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თბილისი ალა-მაჰმად-ხანმა გადაბუგა, ამ უბანში მხოლოდ ქვით ნაგები ტაძრები – სიონი, ანჩისხატი, ასევე ნაირყალა და კიდევ რაც მინის ქვეშ იყო, ის

ბით კი, მართალია, უმეტესწილად გუმბათიანი ეკლესიები შენდებოდა, მაგრამ შიგადაშიგ ხმელთაშუაზღვისპირული ბაზილიკის ტიპის საყდრებიც იგება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ამ კულტურის არათუ განუყოფელი ნაწილი, არამედ, როგორც წელან ალენიშე, თანაშემქმნელები ვართ. თბილისის თანამედროვე ურბანულ მოწყობასაც, მის მშენებლობას სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ თვითმოყოფაობას დაგვკარგავთ, უსახო და განუყოფლობას მოკლებული ქალაქი კი არავითვის საინტერესო არ იქნება. საზღვარს მივინჯა, ალენიშო ერთი უცნაურობა: **კარგა ხანია, რატომღაც ვცდილობთ, ევროპას დაგვმტკიცოთ, რომ მისი**

აქ ოჯახებით სახლობდნენ, აქაური ადათ-წესი იცოდნენ, აქაური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალულნი, რასაც ტფილისური ყოფა ერქვა. იმდროინდელმა ქალაქელმა კაცმა, ვთქვათ, ჩოხა კი გაიხადა და ევროპული პიჯაკი თუ ფრაკი მოირგო, მაგრამ მისი შიგთავსი, არსებითად, იგივე დარჩა და ღვინით სავსე ყანწი შეინარჩუნა.

დღევანდელი თბილისი, არსებითად სამი ერთმანეთისგან დიდად კულტუროლოგიურად განსხვავებული ნაწილის ერთობაა. პირველი – ესაა ორთაქალაქისიდან მოყოლებული ვიდრე სტადიონ „დინამომდე“, ასევე ნარიყალადან კუს ტბამდე ნაწილი, მეორე – ევროპული ნაძალადევის ზონა, ანუ „საურმე ქალაქი“, რომელსაც უშუალოდ თბილისელობასთან საერთო არაფერი აქვს და მესამე – ევროპული „საძილე რაიონები“ – დილომი, თემქა, გლდანი, ვარკეთილი, საბურთალო, ვაზისუბანი, მესამე მასივი და სხვა, რომლებმაც თავის დროზე დიდად დასაფასებელი როლი კი შეასრულეს ხალხის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში, მაგრამ ამჟამად ქალაქურ ცხოვრებას, განვითარებას ამუხრუჭებენ.

**აუცილებლად მინდა ვთქვა ისიც, რომ, მართალია, თბილისი არ არის მსოფლიოში ყველაზე უკეთესი ქალაქი, მაგრამ როგორცაა, ამით მაინც ყველას სჯობს.** ამიტომაც, როცა ახლა მისი განვითარების გენერალური გეგმა ჯერ კიდევ საბოლოო დამუშავებისა და მომავალი განხილვების ეტაპზეა, უპირანი იქნება იმის შესვენება, რომ ჩვენს ეროვნულ ფესვებზე რაც უკეთესია, ის უნდა დავამყნოთ და ყველაფერი ის შევიწარმოოთ, რაც კი საუკუნეების მანძილზე რუდუნებით გამოგვიტარებია.



გადარჩა. შემდეგ იმ სარდაფების თავზე საცხოვრისები თუ საზოგადოებრივი დანიშნულების, ვთქვათ, ქარვასლა აშენდა და, ამდენად, ქალაქმა გვიანფოდალური იერი აღიდგინა. ამ უბნის შენობები ბერძნულ-ტოსკანურ ორდერშია აგებული, რომელიც მავანთა ყველა მცდელობის მიუხედავად, მაინც შენარჩუნდა. ამიტომაც იყო, რომ როცა რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნის არქიტექტურაში იქაური ხედვით დაუნახული კლასიციზმი შემოვიდა, ქართული ხუროთმოძღვრება მის მისაღებად უკვე მზად იყო. **გიგად საგულისხმო გარემოება კიდევ ის გახლავთ, რომ იმდროინდელი ხელოვნები მეტწილად რაჭველები იყვნენ, ვისშიც ტოსკანური ორდერი მკვიდრად იყო გამჯდარი.** ბოლო წლებში უაღრესად მნიშვნელოვანი, მე ვიტყვი, ქვეყნისთვის საშუალოდ საშუალოდ საქმედო საქმე გაკეთდა სიღნაღში, ძველი არქიტექტურის შენარჩუნება-აღდგენარესტავრაციის თვალსაზრისით, რადგან იქაური – მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის სახლები სწორედ ბერძნულ-ტოსკანურ ორდერშია აგებული და მასთან ერთად გააჩნია ორიენტალისტური განწყობა.

**კულტურული ფასეულობების მიმდევრები ვართ. არადა, ეს ფასეულობები, არსებითად, რენესანსის კულტურის, მისი ხედვისა და ფილოსოფიის პროდუქტი გახლავთ, რომლის წინა კულტურის მარტოოდენ უბრალო მატარებლები კი არა, თანაშემქმნელები ვართ, ოდონდ ორიენტაციური სურნელებით.** ამდენად, ამ უმნიშვნელოვანესი პოსტულატის გათვალისწინება აუცილებელიცაა და საჭიროც.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დიდი შეცდომა იყო, როცა დაახლოებით ორი ათეული წლის წინათ ვენეციის ბიენალეზე საჯაროდ განვაცხადეთ, რომ საკუთარი არქიტექტორები არა გვყავს და ევროპულ სპეციალისტებს ჩამობრძანება ვთხოვეთ. ბევრიც ჩამოვიდა, მაგრამ, ზოგიერთი მათგანის მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად, რაიმე განსაკუთრებულად ფასეულის შექმნა ვერ შეძლეს, თუმცა კი რამდენიმე საინტერესო პროექტი ნამდვილად განახორციელეს.

ამის ახსნა საკმაოდ მარტივად შეიძლება. **თბილისის გონების თვალსაზრისით მოგველოთ, დავინახავთ, რომ სალაღაკი, მთაწმინდა, სტადიონ „დინამოდან“ მოყოლებული ღვინის აღმართამდე მტკვრის მარცხენა სანაპირო – ესაა ევროპულ სამოსელში განწყობილი ქალაქი.** სახლების, ეზოების შიდა წყობა ყველაფერ ერთნაირია, მხოლოდ მათი პერანგებია განსხვავებული. მისი არქიტექტორები, სხვა ეროვნების ხურობებთან ერთად, ძირითადად იტალიელები, ებრაელები და გერმანელები იყვნენ, რომლებიც

**ბატონ ბიბას გამოსვლა, ცხადია, დამსწრეებმა დიდი გულისყურით მოისმინეს და რამდენიმე კითხვაც დაუსვეს, რომლებიც თბილისის ურბანული მოწყობის ზოგიერთ ისეთ საჭირობოროტო საკითხს ეხებოდა, როგორცაა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის სრულიად დანაშაულებრივი განაშენიანება, ევროპული ნაძალადევის „ხრუშჩოვების“ ტიპის ამორტიზებული საცხოვრებელი კორპუსების ბედი, სატრანსპორტო საცობები და სხვ. ამ და კიდევ ზოგიერთ სხვა საკითხზე ბატონმა გიგამ ერთობ განზოგადოებულად უპასუხა, რომ ქალაქისთვის, ისევე როგორც სახელმწიფოსთვის, ერთიანად რაღაც რევოლუციური გზით განვითარება, სხვა თუ არაფერი, სახიფათოა. მართალია, რევოლუციის წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ მათი განვითარება შემდგომ ევოლუციის გზით, გარკვეული თანდათანობით უნდა მოხდეს. მით უმეტეს ეს თბილისს ეხება, რომელიც ქვეყნის გული და მისი უმთავრესი ქალაქია, საქართველო კი აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაზე გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა, რომელიც არა მარტო სასაქონლო გადაზიდვების, არამედ კულტურის, ინტელექტის, ფინანსებისა და ა. შ. სატრანზიტო კვანძია. აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მატერიული თუ არამატერიული ფასეულობებიდან საქართველოს რაც შეიძლება მეტი დარჩეს, რაც ესოდენ აუცილებელია ახალი ქვეყნის ასაშენებლად. ამიტომაც საჭიროა, რომ ქალაქის თანამედროვე არქიტექტურული პარტიტურის შექმნას ხელისუფლებამ უნარიანად უხელმძღვანელოს.**


რაც შეეხება საკითხთა კონკრეტულებს, ბატონმა გიგამ საზღვარს მიღწევა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის გენგეგმის ავტორებს სამუშაოდ კიდევ დაახლოებით თვენახევარი დრო აქვთ, ცალკეულ თემებზე ლაპარაკს მხოლოდ მუშაობის დასრულების შემდეგ ექნება აზრი.

– **დაბოლოდ, აუცილებლად მინდა იმის თქმა, რომ ძალიან მისანია, რომ ვარ მაგთიკომის კლუბში – ამ გამორჩეულ სამყაროში, ვარ იმათთან, ვინც მართლაც ქართულ საქმეს აკეთებენ,** – დასძინა ბატონმა გიგამ.

ოთარ ტურაბელიძე



# საქართველოს ლომონოსოვი



დიდი ქიმიკოსი, აპროკაში  
სახელგანთქმული მეცნიერი,  
საზოგადო მოღვაწე

**„განა ბედის დაცინვა არ არის, რომ მე ვპეტრიაშვი-  
ლობდე ჩვენს აღმდგარ სამშობლოში, ის კი აღარ იყოს!  
რამდენად აჯობებდა, რომ წინააღმდეგ მომხდარიყო. იმ  
საქმეების კეთება მისდებოდა დღეს, რისი გაკეთებაც ვა-  
სილ პეტრიაშვილმა ვერ მოასწრო.“**

**პეტრე მელიქიძე**

**„საქართველო მას გულში უზის და ყველგან თან  
დაჰყვება...“**

**აბაძე**

მოღვაწეობის დასაწყისში ვასილ პეტრიაშვილს მენდელეევი ახალგაზრდა მეცნიერებიდან ყველაზე ნიჭიერად და პერსპექტიულად მიიჩნევდა. ვ.პეტრიაშვილი გახლდათ უმაღლესი სასწავლებლის, ოდეისის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის რექტორი, ის იყო პირველი ქართველი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის რექტორად აირჩიეს. დაგვიტოვა მეტად საჭირო სამეცნიერო წიგნები და წერილები ქართულ ენაზე. ტექნიკური ტერმინებით გაამდიდრა ქართული ენა.

მისი ოცნება იყო თავის ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. ვ. პეტრიაშვილის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საქმეს. მისი ავტორიტეტი და სახელი იმდენად დიდი იყო, რომ ქართველ გამორჩენილ მოღვაწეთა აზრით, ქართული უნივერსიტეტის სათავეში სწორედ ვასილ პეტრიაშვილი უნდა მდგარიყო.

„მე რომ დაჯილდოებული ვყოფილიყავი პოეტური ნიჭით და მიზნად დამესახა, მომეტა სახე ყველა საუკეთესო ზნეობრივი თვისებით აღჭურვილი ადამიანისა, რომელშიც განსახიერებული უნდა ყოფილიყო გულკეთილობა შეერთებული ჭკუასთან, მე ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილის სახეს დავხატავდი“ – წერდა პეტრე მელიქიძე.

თბილისთან ახლოს, თელეთისა და კუშისის მიმდებარე სოფელ ნალასყურში, 1842 წელს დაბადებულ ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს დედა ოთხი წლის ასაკში გარდაეცვალა. მამა, სოფლის მღვდელი, წიგნიერი და კეთილშობილი პიროვნება ყოფილა.

8 წლის ვასომ, მამის დახმარებით, დაიწყო წერა-კითხვის შესწავლა. ქართულს მტკ დროს ანდომებდა, მაგრამ პარალელურად რუსულსაც უსწავლდა.

11 წლის ვასო მამამ თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარა. აქ იაკობ გოგებაშვილი მუშაობდა და დიდად უყვარებოდა მალევე დაადგა თვალი და დაიხლოვა ნიჭიერი ბავშვი.

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ვასომ გადამწყობა სწავლა ოდეისის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში გაეგრძელა. პირველად ის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თუმცა მალევე გადავიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაში. 1870 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს და სარბიელად ქიმიას ირჩევს. მას ტოვებენ უნივერსიტეტში ტექნიკური ქიმიის კათედრის ლაბორანტად. 1873 წელს მიაღწევს ბონში, სახელგანთქმული მეცნიერის, გერმანელი ქიმიკოსის ფ. კეკულეს ლაბორატორიაში. 1874 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია.

1875 წელს ირჩივნენ კათედრის დოცენტად. 1877 წელს, 35 წლის ასაკში, ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას ქიმიის. ტექნიკური ქიმიის კურსს ის 35 წლის განმავლობაში უძღვებოდა. მუშაობდა ასევე ანალიზური ქიმიის, ორგანული და ფიზიკური ქიმიის საკითხებზე. 1878

წლიდან 1881 წლამდე სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, სადაც ისეთ დიდ მეცნიერებს ხვდებოდა, როგორებიც იყვნენ ბერთოლი, ვიურცი, სენკლერ-დევლი.

1881 წელს თავისი მასწავლებლის ა. ვერრიგოს წარდგინებით, ირჩივენ ორდინარულ პროფესორად, 1902 წელს კი დამსახურებული პროფესორი ხდება.

იმ დროს ოდეისის უნივერსიტეტში მუშაობდნენ ისეთი სახელგანთქმული მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ი. მენციკოვი, ვ. პეტრიაშვილის მასწავლებლები ა. ვერიგო, ნ. სოკოლოვი და სხვები.

1905 წელს არჩეული იქნა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, მას რამდენჯერმე ირჩივენ დროებით რექტორად, 1907 წლიდან კი უნივერსიტეტის რექტორად ინიშნება.

ოდეისის პრესაში იწერებოდა, რომ ვ. პეტრიაშვილი იდეალური რექტორი იყო და თვლიდნენ, რომ მის მსგავსად ამ მოვა-

**ვ. პეტრიაშვილი მეგობრობდა ნიკო ნიკოლაძესთან და მას კონსულტაციებს უწევდა სოფლის მეურნეობის საკითხების მეცნიერულად გააზრდვის საქმეში. როდესაც ნ. ნიკოლაძემ აკაკი წერეთელს უამბო ვასილ პეტრიაშვილის ოდეისაში მოღვაწეობის ამბები, აკაკიმ პეტრიაშვილს „საქართველოს ლომონოსოვი“ უწოდა.**

ლეობას ვერავინ შეასრულებდა. სხვადასხვა ყურანალებსა და გაზეთებში ღრმად განსწავლული მეცნიერი აქვეყნებდა საინტერესო და საჭირო წერილებს. მისი შრომები მეტად პოპულარული იყო როგორც რუსეთში, ისე ევროპაში.

მიწანილობდა ქალაქის სანქციონირებული პრობლეების მოწესრიგებაში. მის მიერ მოწოდებული, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მეთოდებით, ქალაქის თვითმმართველობა ატარებდა საჭირო ღონისძიებებს.

დიდი როლი ითამაშა ოდეისაში ქალთა განათლების განვითარების საქმეში. მისი ინიციატივით და ხელისშეწყობით ქალებს აგზავნიდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად. დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლებლად წასულ ქართველ ქალებს და მათემატიკურ დახმარებასაც უწევდა მათ. 1903 წელს ოდეისაში ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნა, ამ საქმეში დიდი წვლილი ვ. პეტრიაშვილსაც მიუძღვის.

1902 წელს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ვასილ პეტრიაშვილი საპატიო წევრად აირჩია.

**ცნობილი ქიმიკოსი, პროფესორი ვ. კაკაბაძე წერდა: „ჩვენი ვასილ, ზედმიწევნით შევისწავლოთ ამ გამორჩენილი მეცნიერის, მხურვალე პატრიოტის და იშვიათი**

**ადამიანის ღრმაზინარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მდიდარი მეცნიერება. პეტრიაშვილი იყო წარჩინებული, შეუდარებელი მედაგოგი და აღმზრდელი, იგი იყო თავდადებული და უანგარო საზოგადო მოღვაწე, იშვიათი ადამიანი, შემეხული ყოველგვარი მაღალი, კეთილშობილური თვისებებით და გრძობებით, იგი იყო მგზნებარე პატრიოტი.“**

პროფესორ სერგი ავალიანის აზრით, – „ვ. პეტრიაშვილმა პირველად შეიტანა ქართულ ენაში მტკიცე, მეცნიერული ნომენკლატურა და შექმნა ახალი, ტექნიკური საბუნებისმეტყველო მეცნიერული ენა. მაგრამ პეტრიაშვილის ნაშრომების ღირსება და მნიშვნელობა მარტო ქართული მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნით კი არ განისაზღვრება, მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველ საზოგადოებაში მეცნიერულ აზროვნებას.“

პროფესორი ა. მედვედევი გულახდილად ამბობდა: „ბედნიერნი არიან აღზრ-

მისი მოსწავლეები სხვადასხვა გაზეთში წერდნენ, რომ – „ვ. პეტრიაშვილის შესანიშნავმა და სამაგალითო მეცნიერულმა შემოქმედებამ დიდი სახელი მოუხვეჭა მას როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.“ „დიდმა მეცნიერმა ვ. პეტრიაშვილმა თავისი გამოკვლევებით უდიდესი წვლილი შეიტანა ორგანულ ქიმიის და მრავალთაობას გაუკაფა გზა მეცნიერული ძიებისკენ.“ „სტუდენტებისთვის იგი არ ზოგადდა დროს, აძლევდა ფულს, წიგნებს. ადამიანსადმი სამსახურის საქმეში დალილობას არ გრძნობდა.“ „მისი ხელფასის საკმაოდ დიდი ნაწილი სხვის დახმარებაში იხარჯებოდა.“ „ერთხელ თავისთვის შარვლის საყიდლად გადამხალი ფული გაჭირვებულ სტუდენტს მისცა და თავად, კარგა ხანს ძველი ტანსაცმლით დადიოდა.“ „ვ. პეტრიაშვილი იყო წყნარი და მომთმენი ადამიანი, თუმცა უნესოებას ვერ ურიგდებოდა, ზოგჯერ მასაც მოსდიოდა გული.“

**იაკობ ბარდახი, ცნობილი პატრიოლოგი, პოპულარული პიროვნება, ოდეისის პატრიოლოგიური სადგურის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ვ. პეტრიაშვილის მეგობარი, თვლიდა, რომ „ვ. პეტრიაშვილი იყო მეცნიერთა პატრიარქი ოდეისაში და ყველგან დიდი პატივისცემით სარგებლობდა.“**

ოდეისის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ექიმი ივ. ელიაშვილი იგონებდა, რომ „ვ. პეტრიაშვილს ერთნაირად სცემდნენ პატივს როგორც სტუდენტები, ასევე პროფესორები. ვასილი იყო როგორც ქართველი, ისე სომეხი, რუსი, ებრაელი და სხვა ეროვნების სტუდენტების დამცველი.“

„წყნარი, დიადი, როგორც მისი მშობლიური მთები, უკეთილშობილესი და უმნიშვნელო და პოეტური. იგი იყო ჩვენთვის ცოცხალი სინდისი და ნუგეში ჩვენი უამთა სიავის მძიმე დღეებში.“ ახასიათებდა მეგობარს პროფესორი ი. ოლიჩენკო.

„ვ. პეტრიაშვილი ოდეისის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების საუკეთესო ხანის საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მე ბედნიერი ვარ, რომ ნილად მხვდა არა მარტო მისი მოწაფეობა, არამედ მეგობრობა მთელი ოცი წლის განმავლობაში.“ „მისი ზნეობრივი სიმამინდე, გულწრფელობა და პირდაპირობა მუდამ მამხნევებდა და მაახლოვებდა.“ „ის ვინრო სპეციალური კი არ იყო, არამედ იყო ფართოდ განათლებული ქიმიკოსი.“ „იყო შესანიშნავი ადამიანი, აღმზრდელი და გამორჩენილი მეცნიერი.“ – აღნიშნავდა დიდი ქიმიკოსი ნ. ზელინსკი, რომლის სახელობისაც არის დღეს ორგანული ქიმიის ინსტიტუტი მოსკოვში.

პროფესორ ვ. მოდებაძის შეფასებით, ვ. პეტრიაშვილმა „პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველ საზოგადოებაში მეცნიერულ აზროვნებას.“ „მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მოღვაწეობით ვ. პეტრიაშვილმა სწორი ალლო აულო ქართველი ერის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო წყაროს და ხელი შეუწყო თავის სამშობლოში ამ დარგის განვითარებას.“

ვასილ პეტრიაშვილი და მისი უმცროსი მეგობარი პეტრე მელიქიძე, პარიზის მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო კომისიის წევრები იყვნენ. გაზეთ „მოამბეში“ ხშირად იბეჭდებოდა ვ. პეტრიაშვილის წერილები: „ღვინის დაყენება“, რძე და მისი გამოყენება.“ „სითბო და მისი სარგებლობა“, „ლეი პასტერის ღვანლი ღვინის დაყენებაში“, „ვაზი, მისი მოშენება და მოვლა“ და სხვ., ასეთი ღრმა შინაარსის ნაშრომები მამის რუსულადაც არ იყო გამოქვეყნებული.

ვ. პეტრიაშვილმა ქართულ ენაზე შექმნა ქიმიის სახელმძღვანელო, რომელიც, სამწუხაროდ, სხვა საინტერესო ნაშრომებთან ერთად დაკარგულად ითვლება.

ქართულ ენაზე გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების საფუძველზე მან შექმნა სოლიდური, კამპიტალური სახელმძღვანელოები: 1894 წელს – „ღვინის დაყენება“, 1895 წელს – „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“, 1905 წელს „ღვინის წარმოება“, „ქმრის წარმოება.“ მისი ნაშრომები რომლებიც მოგვიანებით დაბეჭდა პ. მელიქიშვილმა, ეხებოდა წყალტუბოს წყლებსა და ახტალის ტალახს. ცდილობდა, წვლილი შეეტანა მარგანცის წარმოების საქმეშიც.

ჩვენი საზოგადოებას სკანდალები რეგულარულად აზნაზარებს. ზოგჯერ ლოკალური, რომლებიც ხშირად რომელიმე დანაშაულთან არიან დაკავშირებული, უფრო იშვიათად – გრანდიოზული, როცა უკვე გგონია, რომ ქვა-ქვავზე არ დარჩება და ყველაფერი დაემხო – ხელისუფლებაც, სახელმწიფოც... მაგრამ გადის დრო და სიტუაცია წყნარდება. ასე იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მტურის დროს. მოგვიანებით „მიზიდულობის ცენტრად“ პარლამენტი იქცა. დღეს აღარავის ახსოვს, თუ რა მიზეზით იმ აქციების შედეგად ვიხმურეთ და დავიშალეთ. თუმცა, თუ გავანალიზებთ ბოლო 20 წლის განმავლობაში მომხდარ ყველაზე მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს, იოლად შევნიშნავთ, რომ მათი მიზეზი ყველაზე ხშირად საქართველოსთან ურთიერთობა ხდებოდა: კანონი მოქალაქეობის შესახებ (2009 წელს), აფხაზური პასპორტების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე (2014 წელს), საქართველოს მოქალაქის ამნისტია (2018 წელს)... ანუ თბილისთან დამოკიდებულების საკითხი აფხაზეთის საზოგადოების „აქილევსის ქუსლად“ რჩება. შესაბამისად, არცთუ ისე იშვიათად აფხაზი პოლიტიკოსები ქართული კარტით სარგებლობენ, რათა ყბადაღებული „ნავი შეარყიონ“ და ამით საკუთარი მიზნები განახორციელონ.

გასულ კვირას აფხაზები სოციალურ ქსელებში „მიტინგობდნენ“. მათი აღშოთების მიზეზი გახდა გაფორმებული ინფორმაცია საქართველოში აფხაზი ექიმების ტრენინგის შესახებ. გარკვეული დროის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც მთლიანად უარყო სოციალური ქსელების ანონიმური მომხარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია და ხაზი გაუსვა, რომ სამინისტროს თბილისში სემინარებზე და ტრენინგებზე არაფერი გაუგზავნიან. პრეს-სამსახურის ინფორმაციაში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო ექიმების განათლებისა და სპეციალიზაციის დონის ამაღლებაში მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობს. თუმცა ოფიციალური განცხადების ბოლოში მაინც იყო მითითებული, რომ ზურაბ ლაკერბაიას მიმართეთ, რომელიც, ალბათ, საქმის კურსშია.

აუცილებელია განვმარტოთ, რომ ზურაბ ლაკერბაია 1995 წლიდან ერთმანეთისადმი ორი მტრულად განწყობილი ქვეყნის - აფხაზეთისა და საქართველოს პრეზიდენტების სრულფასოვანი წარმომადგენელი იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების საკითხებში. ქართულ-აფხაზური ომის დასრულების შემდეგ იგი დაკავებული იყო სოხუმ-თბილისის მოლაპარაკებების ორგანიზებით (ეუთოს, გაეროს, რუსეთის ეგიდით). მართალია, ზურაბ ლაკერბაია თვითონ ეთნიკური აფხაზია, მაგრამ იმავდროულად იგი ორი ქვეყნის – აფხაზეთისა და საქართველოს მოქალაქეა. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, შეიძლება ითქვას, იურიდიული კოლიზაცია, როცა



## ფაქტობრივად საუბარი ქართული თემა

**საინტერესოა ჩემი ქვეყანა და ჩემი ხელისუფლების მოქმედება, რომელმაც მეოთხედი საუკუნის მანძილზეც კი ვერ შეძლო მკაფიო და ნათელი სტრატეგიის ჩამოყალიბება საქართველოს მიმართ – ისეთისა, რომელიც აფხაზეთის ყოველი მოქალაქისთვის იქნებოდა გასაგები: ითვლება თუ არა იგი სამშობლოს მოდალად, როცა მკურნალობას იწყებს მგრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა აფხაზეთში საქონელი საქართველოდან შემოაქვს, როცა ქართულ ჰუმანიტარულ პროექტებში მონაწილეობს და ფეხბურთის საყურებლად საქართველოში დადის?**

**საქართველოს მოქალაქე აფხაზეთის მოქალაქეცაა და თანაც საკმაოდ კანონიერი საფუძველი.**

საქმე იმაში გახლავთ, რომ აფხაზეთის კანონი კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას, მაგრამ იმავდროულად ითვალისწინებს მოქალაქეობას ყველა ეთნიკური აფხაზისათვის. სწორედ ეთნიკური აფხაზის ასეთი უფლება უზრუნველყოფს იმას, რომ ზურაბ ლაკერბაია იყოს როგორც აფხაზეთის წარმომადგენელი საქართველოში, ისე საქართველოს წარმომადგენელი აფხაზეთში – ყველა პრეზიდენტისა და ყველა მთავრობის დროს.

დღეს ზურაბ ლაკერბაია ჰუმანიტარულ-სამედიცინო პროექტებით არის დაკავებული. იმ ფაქტის შემდეგ, რაც მისმა სახელმა საქართველოში აფხაზი ექიმების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ზემოთ აღწერილ

სკანდალში გაიჟღერა, ზურაბ ლაკერბაიამ განმარტა, რომ საქართველოში არავითარი სასწავლო სემინარი არ ყოფილა, საკითხი ეხება ჰოლანდიიდან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანების – რენომობილების მოწოდებას, რომელიც ჰოლანდიიდან საქართველოშია ჩატანილი და ამიტომ სამი აფხაზი ექიმი თბილისში ჩავიდა რენომობილის გასაცნობად და მის წამოსაღებად. ზურაბ ლაკერბაიასათვის გაუგებარია, რატომ მიექცა ამ ფაქტს ესოდენ დიდი ყურადღება.

ზურაბ ლაკერბაიასთან საუბრის შემდეგ დავინტერესდი, ვინ გაავრცელა პირველად ინფორმაცია აფხაზი ექიმების თბილისში ყოფნის თაობაზე და ჩემდა გასაკვირად, „ქართული კვალი“ აღმოვაჩინე. ანუ მორიგი ქართულ-აფხა-

ზური სკანდალი ვირტუალურ ქსელში ჯერ საქართველოდან იქნა პროვოცირებული, შემდეგ კი აფხაზეთში მომხმარებელმა მზადყოფნით აიტაცეს. შესაძლოა, დამთხვევაა, ან არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ ეს მოხდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს პრემიერ-მინისტრის „მშვიდობიანი ინციატივების“ შემდეგ. იმავე დროს ქართულ მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია აფხაზეთის იმ მოქალაქეების შესახებ, რომლებმაც სამედიცინო დახმარება საქართველოში მიიღეს, აგრეთვე იმ თანხების შესახებ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ დახარჯა „სეპარატისტული რეგიონების“ (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) მოქალაქეებზე. ინფორმაციას რომ ისეთი კომენტარები არ ჰქონოდა, რომელთა მიხედვით, ქართველებს სულაც არ სიამოვნებთ საკუთარი მთავრობის ქველმოქმედება, მე არც დავიჯერებდი, რომ „უმაღურ“ აფხაზებს ამ ყველაფერს „ცხვირწინ უტრიალებდნენ“.

არ დავიწყებ ამ ინფორმაციის წყაროს ჭეშმარიტი მიზნებისა და განზრახვების ძიებას, რადგან ეს არ მაინტერესებს. ჩემთვის საინტერესოა ჩემი ქვეყანა და ჩემი ხელისუფლების მოქმედება, რომელმაც მეოთხედი საუკუნის მანძილზეც კი ვერ შეძლო მკაფიო და ნათელი სტრატეგიის ჩამოყალიბება საქართველოს მიმართ – ისეთისა, რომელიც აფხაზეთის ყოველი მოქალაქისთვის იქნებოდა გასაგები: ითვლება თუ არა იგი სამშობლოს მოდალად, როცა მკურნალობას იწყებს მტრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როცა აფხაზეთში საქონელი საქართველოდან შემოაქვს, როცა ქართულ ჰუმანიტარულ პროექტებში მონაწილეობს და ფეხბურთის საყურებლად საქართველოში დადის?

დავიჯერო, მეოთხედი საუკუნე არაა საკმარისი იმისათვის, რომ შემუშავებულიყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, მონყობილიყო აფხაზეთ-საქართველოს სრულფასოვანი სახელმწიფო საზღვარი, საკონტროლო-გამოსვლელი პუნქტი „ენგურ“ ყველა ატრიბუტი? ანდა შესაძლოა საზღვრის გაუგებარი მდგომარეობა, რომლის მეშვეობითაც კონტრბანდა უწყვეტად მოედინება, იმის „საფუძვლის ჩაყრას“ ნიშნავს, რომ 2019 წლის არჩევნების დროს მასობრივი პროტესტები მოეწყობა? ხოლო, ექიმების ტრენინგი“ არჩევნების წინა მოთელვაა?

მაგრამ მაშინ, თავაზიანად რომ ვთქვათ, როგორი არაპროსმჭკრეტელი პოლიტიკოსი უნდა იყო, რომ „ასეთი „ფეთქებადსაშიში თემით“ ისარგებლო – იმის ნაცვლად, რომ ცხვირწინ არსებული პრობლემა გადაწყვიტო? იმავედროულად ჩვენ შესაძლებლობა გვექნებოდა ისინი დავინახოთ, ვინც (ჩვენთან) სუვერენული აფხაზეთის ნორმალური საზღვრების წინააღმდეგ გამოდის.

„RFE//RL“ (აშშ),  
(0804 ჰანის, სოხუმელი ჟურნალისტი,  
„ნუქანია გაბეგას“ მთრეაქტორი)

### სირია ვერ შეძლებს ქიმიური იარაღის წარმოებას

სირიას აღარ ექნება ქიმიური იარაღის წარმოების საშუალება. ეს მოსაზრება გამოთქვა სამშაბათს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა რადიოსადგურ „Franceinfo“-თან ინტერვიუში. მინისტრმა განაცხადა, რომ აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ შაბათს გაკეთებული დარტყმების შედეგად „განადგურდა სამი ობიექტი“. მან დააზუსტა, რომ განადგურებულია „ქიმიური არსენალის შენახვის ადგილი, მისი წარმოების და კვლევითი ცენტრი“. რადიოსადგურის შეკითხვაზე, შეძლებს თუ არა სირია ქიმიური იარაღის წარმოებას, ლე დრიანმა უპასუხა: „ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ვერ“.

### კუტიმეა შეერთებული შტატები აბრესიანი დააღწა

რუსეთის პრეზიდენტმა გერმანიის კანცლერთან სატელეფონო საუბრისას სირიაზე ავიადარტყმებს აგრესია და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა უწოდა. „რუსეთის პრეზიდენტმა ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა, იმას

### სომხეთში „ხაპარლოვანი რაქოლუსია“ იწყება?

აქციის ხელმძღვანელი, ოპოზიციონერი დეპუტატი, რომელიც აპროტესტებს სომხეთის პრემიერ-მინისტრად ყოფილი პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის დანიშვნას, აცხადებს, რომ ქვეყანაში იწყება „არაძალადობრივი ხავერდოვანი რევოლუცია“.

„ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა და მე ვაცხადებ სახალხო არაძალადობრივი, ხავერდოვანი რევოლუციის დაწყებას“, – განაცხადა პაშინიანმა მიტინგზე თავის მხარდამტყუნებთან გამოსვლისას. ერევანში, საფრანგეთის მოდენაზე, სადაც აქცია მიმდინარეობს, დაახლოებით სამი ათასამდე მონაწილეა შეკრებილი. დეპუტატის თქმით, მისი მხარდამტყუნების სახელმწიფო უწყებების საქმიანობის პარალიზებას აპირებენ.





მინ, საპარტიველო

მეღლები ნაკრებ პრაქტიკაში

საპარტიველოს ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრებებმა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატზე 18 მედალი მოიპოვეს.



ვილი (62 კგ), გაგა ბასტიძე (68 კგ) და ზვიად თევდორაშვილი (74 კგ), გიორგი ჭუმბურიძესა (52 კგ) და ნიკა სიდამონიძეს (90 კგ) მიზნადმდე გადამწყვეტი გამარჯვება დააკლდა.

ჭაბუკებში ევროპოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნიკა კოჩალიძე (52 კგ), ალექსანდრე ხუბულური (81 კგ) და გოჩა ლვაჩაიანი (87 კგ).

გოგონებში ახალგაზრდებს შორის ელისო სისაური (68 კგ) ფინალამდე მივიდა და ვერცხლს დასჯერდა.

გულდური შედეგების შეჯამების შემდეგ საქართველოს როგორც ჭაბუკთა, ისე ახალგაზრდულმა ნაკრებებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

კობა კობახიძე

ზარიკაობა



ნიკა შენგელია

სომხეთის დედაქალაქ ერევანში დაიწყო 23-წლამდე მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. შარშან მსგავს შეჯიბრებაში საქართველოს მოხმალაც ვაჟთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა.

ნიკა შენგელიას სომხური პერსონალი

დიზელ დაჯაბნა რუსები – კირილ ტროფიმოვი (15:9) და ვასილი შირშოვი (15:14), მერე კონსტანტინ ვორონოვი (15:14), რითაც ჯგუფში მარცხისთვის რევენში აიღო.


მოსხმალაცე ვაჟა რეჩიამ ჯგუფში ოთხი შესვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა – პაულ მონახი (გერმანია, 5:4), ჰუბა გემში (უნგრეთი, 5:1), ედენ ანიკი (საფრანგეთი, 5:4), ემილ დე ვისჩერი (ბელგია, 5:2).

დაშნით მოფარიკავე ქალთა შორის ქუთაისელმა მარია ზაკირჩევიკო ჯგუფში ემა პოლოსოვას (სომხეთი, 5:4), ვიკტე აზუკა-იტეს (ლიტვა, 5:3), კატერინა მალციკს (ნორვეგია, 5:1) აჯობა, სამი შესვედრა კი ნააგო.

ლაზა დიდი

საფეხურთა მოხარკა

მხანჩაბლის „ანჟის“ მეკარე გიორგი ლორია რუსეთის პრემიერლიგის 26-ე ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.



„დამარცხებული გუნდის მეკარე ტურის სიმბოლურში – მისი სეივების გარეშე დიდი შანსი იყო, რომ სტუმრებს დიდი სხვაობით წაეგოთ.“

გასულ ტურში „ანჟი“ „ზენიტთან“ 0:1 დამარცხდა.

გამომავლის ბუნდესლიგის 30-ე ტურში „მაინცისა“ და „ფრაიბურგის“ მატჩში თერთმეტმეტრიანი ვიდეოგამოკრების შედეგად შესვენებაზე დაინიშნა.



მსაჯმა გვიდო ვინკმანმა პირველი ტაიმი დაასრულა და ორივე გუნდი უკვე გასახდელში იყო გასული, როდესაც VAR-ის სისტემის გამოყენებით სადავო ეპიზოდი გადაამოწმა და „ფრაიბურგის“ კარში პენალტი დანიშნა.

ვინკმანმა ფეხბურთელები მოედანზე დააბრუნა და „მაინცის“ თავდასხმელმა პაბლო დე ბლასისმა ანგარიში გახსნა.

ინგლისელ არბიტრ მაიკლ ოლივერსა და მის მეუღლეს სიკვდილით ექმურებიან. მადრიდის „რეალისა“ და ტურინის „იუვენტუსის“ შესვედრის მსაჯის მეუღლემ მუქარის შემცველი წერილები სოციალურ ქსელში მიიღო.

BBC-ის ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის პოლიციამ აღნიშნულ საკითხზე გამოძიება დაიწყო და ლუსი ოლივერს სოციალური ქსელი გააუქმებინა.




გიორგი შოთაძე

ჭაღრაკი

ლიდერს სპრინოზად ჩამორჩნენ

სლოვაკეთში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის მე-19 ინდივიდუალური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობს.

რაკეს – ევროპის ექს-ჩემპიონ ეკატერინა ატალიკა (თურქეთი), ლაურა უნუქსა (სლოვენია) და სწრაფ ჭადრაკში ევროპის 2018 წლის ჩემპიონ ელიზაბეტ პეტცს (გერმანია).



ნიქსა და ჯავახიშვილი, 5.5-5.5 ქულა აქვთ.

მერე ტურში, ძაგნიძის გარდა, ქართველთა პარტიები ასე დასრულდა: ელენა ჯავახიშვილი – ანაიტა გარა (უნგრეთი) 1:0, ელენა ტომილოვა (რუსეთი) – მერი არაბიძე 0.5:0.5, ნინო ბაციაშვილი – ადელა ველიკიჩი (სერბეთი) 1:0, ბელა ხოტენაშვილი – ელენა კოსმა (რუმინეთი) 1:0, კუბრა ოზთურქი (თურქეთი) – სალომე მელია 0.5:0.5, მირანადა მიქაქი – ზურაბა სიბიჩკოვა (სლოვაკეთი) 1:0.

რვა ტურის შემდეგ: არაბიძე, ბაციშვილი, ხოტენაშვილი – 5-5, მელია, მიქაქი – 4.5-4.5 ქულა.

ლუკა ცინცაძე

ინტერნეტიდან

პირში მოქმედი ემა

მადრიდის „რეალში“ მობურთალი უელსელი ფეხბურთელის გარეთ ბეილის ნაცოლარი და შვილის დედა, მსახიობი ემა-რის ჯონსი, მიუხედავად იმისა, რომ სწორად იძახის – სამეფო კლუბს ყოფილი ქმრის ხათრით მთელი გულით ეჭმობა, ესპანეთში გამართულ მატჩზე სულ სხვა წარმოდგენის ყოფილა.

ტურფა ამბობს, რომ მას ძალიან დასწყდა გული ტურინის „იუვენტუსის“ გამოვარდნაზე და ამასთან დაკავშირებით შესვედრის შემდეგ უელსელსაც კი დაურეკა და თავისი მოსაზრებები გაუზიარა.

ემა-რის ჯონსი, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად მეგობრობს ბულვარულ მედიასთან, ვერ ვიტყვით, რომ ელიტურ საზოგადოებაში დიდად ფესვგადგმული ქალია. იგი სამსახიობო კარიერაშიც მსოფლიო მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა, თუმცა, ხვალ და ზეგ რა იქნება – ეს ზინედინ ზიდანმაც კი არ იცის.



ვიტალი ჯავახიძე

ეპიტაფია

თინა ბაზლიძე-მაისურაძის მონატრება

ჩვენს მჭიდროდ შეკრულ სამეგობრო წრეს სამწუხაროდ კიდევ ერთი თინა გამოაჯღმინა... თინა ბაზლიძე-მაისურაძის, ადამიანი გა-მორჩეული გონიერებით, პროფესიონალიზმით, გულისხმიერებით, სიკეთით, სიყვარულით, კეთილშობილებით.

გავლაც კი ასწავლე. ისიც კი მოასწარი შენი ენატიკტიკა შევილ-თაშვილებისათვის, რომლებიც მაღლა ცაში ჯერ კიდევ გეძებენ, შენი სიყვარული გეჭუქებინა.



შენი მწარე ოცნების ასრულება, ნახვედი და მიაკითხე შენს მონატრებულ ვაჟკაცებს, მე-უღლეს და მათთან გვერდით-ვერდ დაიდე სამუდამო განსასვენებელი. ჩვენ კი შენს გულწრფელ მეგობრებს, ისლა დაგერჩენია, შენს სახელზე დანთებული სანთლებით გაგიტოვოთ სული და გული.

სანთელი

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძობენ ინსტიტუტის თანამშრომელს ლილი გვაზავას ძმის

თამურ გვაზავას

გარდაცვალების გამო. უახლოესი მეგობრები უდიდესი გულისტკივილით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი

გივი პლატონის ძე პაპიძე

და თანაუგრძობენ მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მეგობრების სახელით მურმან დუნდუა

ბრაბელია ხარაბაული



ხარაბაული ავტომობილი ხრამში გადავარდა. შემთხვევის შედეგად ორი ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ავტომობილში მეთერთმეტე კლასელები ისხდნენ.

ქვემო ფონიჭალაში ავტომობილი ბავშვს შეეჯახა

ქვემო ფონიჭალაში რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ავტომობილი ბავშვს შეეჯახა. ბავშვი საავადმყოფოშია გადაყვანილი. მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციის გარდა, თბილისის მეტრო საევაკუაციო ქსელიცაა და დაბომბვის შემთხვევაში საუკეთესო თავშესაფრად ითვლება.

აღბათ, ამიტომაც საბჭოთა პერიოდში მეტროპოლიტენი ატარებდა ფორტის სტატუსს, ოფიციალური სახელწოდებით „ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ფორტი“. თბილისის მეტრო დაყოფილია სამოქალაქო თავდაცვით სექტორებად, რომლებიც ერთმანეთისგან ჰერმეტიკული ჭიშკრებითაა გამოყოფილი.

ბიდეებისა და გვირაბების მსცოვანი სპეციალისტი აბესალომ ყურაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის მეტრო დღესაც გამოდგება თავდაცვით ნაგებობად და მოსახლეობის 60-65%-ს დაიტევს. მით უმეტეს, რომ თბილისის მეტროში ბევრი გვირაბი და ნაძალადევიდან სამგორამდე მანძილი სულ გამოთხრილია.

იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის უნდა ვემზადებოდეთ ყველა სცენარისთვის, საინტერესოა, რამდენად გამოდგება ჩვენი მეტროსადგურები თავდაცვის მიზნით?

„ურბანული ლაბორატორიის“ ხელმძღვანელი გიორგი ბაბუნაშვილი აცხადებს, რომ თბილისის მეტრო ნამდვილად მოსახლეობის ევაკუაციაზე იყო გათვლილი და ეს გახლდათ თბილისის ნომერ პირველი თავშესაფარი. ამისთვის მეტრო ალჭურვილი იყო სპეციალური სისტემებით, რომლებიც საგანგებო და საომარ ვითარებაში შეძლებდნენ მოსახლეობის შეფარებას და დაცვას, მათ შორის, დაბინძურებული ატმოსფერული ზემოქმედებისგან, თუკი მტრები მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ქიმიურ და ბირთვულ იარაღს.

რამდენად აპარტლეტს თბილისის ნომერ პირველი თავშესაფარი თავის სახელს?!



ბირთვული აფეთქების შემდეგ იზოტოპების ნახევარდაშლის პერიოდს დასჭირდებოდა. დაახლოებით ორ დღეში ხალხი შეძლებდა მიწისქვეშა თავშესაფრიდან გამოსვლას.

„მეტროში დღესაც არის ალჭურვილობები, რომლებიც ჰერმეტიკულად იკეტება და ჰაერს არ უშვებს მეტროპოლიტენის ობიექტებში. სადგურებში, ჩასასვლელებში არის სპეციალური კარები და მონიტორინგული ბაქნის ქვეშ, რომელიც ამოდის და ჰერმეტიკულად კეტავს სადგურს. ასეთი სისტემები ყველა მეტროსადგურში იყო, თუმცა ე.წ. მცირე ჩანოლის სადგურების დაცულობის დონე ნაკლებია.

ზედაპირთან. ამ გვირაბებში სუფთა ჰაერი ხვდებოდა სპეცობიექტებიდან, სპეცობიექტები იყო სავენტილაციო შახტები, რომლებშიც ჰაერი გადაიოდა სპეციალური ნახშირის ფილტრებში და ამის შემდეგ ნახშირის ფილტრების მეშვეობით იწმინდებოდა ქიმიური თუ რადიაციული მიწარევეებისგან და სუფთა ჰაერი მიენოდებოდა. ამ შემთხვევაში, ეს ცენტრალიზებულად იმართებოდა.

სამოქალაქო თავდაცვის სისტემა, რომელიც მეტროში იყო, ამ ყველაფერს უზრუნველყოფდა. დღეს ამ მხრივ რა ვითარებაა, ამის თქმა გამიჭირდება. ვეჭვობ, როგორც ყველაფერი, რაღაც მუშაობს, რაღაც არაა გააჩნია, რას ვგულისხმობთ თავშესაფარში, კარგ სიტუაციაში მოსახლეობას არ სჭირდება თავშესაფარი. ღმერთმა დაგვი-

ფაროს, თუ ეს არის საგანგებო ვითარება, ქალაქის საავიაციო დაბომბვა კონვენციური შეიარაღებით (ანუ არა ბირთვული, არა ქიმიური, არამედ ჩვეულებრივი ავიაბომბებით), ამ შემთხვევაში, მეტრო თავისუფლად შეიფარებს მოსახლეობას“, - აცხადებს გიორგი ბაბუნაშვილი.

მისივე თქმით, მეტრო საუკეთესო თავშესაფარია, თუმცა დღეს ბირთვული იარაღის გამოწვევები იმდენად არ დგას, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს ცივი ომის პერიოდში შეიძლება ყოფილიყო. ასე რომ, კონვენციური ომისთვის მეტრო მზად არის, ის ყოველთვის იქნება მზად ამისთვის, რადგან მიწისქვეშ ღრმად განლაგებულია და აფეთქების ტალღები სადგურების უმეტესობამდე ვერ მიადნევენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიშვილი აცხადებს, რომ თავის დროზე, როცა თბილისის მეტრო შენდებოდა, ის საერთოდ არ იყო ჩაფიქრებული, როგორც მეტროსადგური. მისი პირველი დანიშნულება ის იყო, რომ ადამიანებს თავი შეეფარებინათ. შემდგომში მას უკვე მეტროს დანიშნულება მიანიჭეს.

„ვერ გეტყვით, თბილისის მეტრო დღეს რამდენად გამოსადგება სამოქალაქო თავდაცვისთვის, მაგრამ, ვფიქრობ, ის დღემდე სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელოვან ობიექტად რჩება. ბოლო პერიოდში არ გვახსოვს შემთხვევები, რომ თუნდაც უცხოეთის რომელიმე ქვეყნის მეტროსთვის ხალხს თავი შეეფარებინოს. თუმცა საამისო დანიშნულება უცხოეთის მეტროებსაც ექნებათ. ის, რაც მე ვნახე სტოკჰოლმში გასული წლის ოქტომბერში, გასაოცარი იყო. მაქსიმალურად დაცული იყო მეტროს უსაფრთხოება არა მარტო მგზავრობის თვალსაზრისით, არამედ ზუსტად ტერორისტული აქტების თვალსაზრისით და თითქმის ყველა მეტროსადგურთან პოლიცია იყო მობილიზებული. ისინი აკონტროლებდნენ სიტუაციას, რადგან, როგორც წესი, მოსახლეობის თავშეყრის ადგილები ხშირად ტერორისტული აქტების სამიზნედ იქცევა ხოლმე“, - აღნიშნა დავით მესხიშვილმა.

მანანა ნოზაძე

20 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით სიღნაღში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) გაიმართება იაპონური თოჯინების გამოფენა „იაპონიის თოჯინები: მლოცველთა გამოსახულებები, სიყვარულის განსახიერებები“.

20 აპრილს 13 საათზე გამოფენას გახსნის იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტადაჰარო უეჰარა. გახსნის ცერემონიას ასევე დაესწრებიან ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, სიღნა-

# იაპონური თოჯინების გამოფენა სიღნაღში

„იაპონიის თოჯინები: მლოცველთა გამოსახულებები, სიყვარულის განსახიერებები“



ღის მერი გიორგი გოგილაშვილი და სხვა საპატიო სტუმრები.

გამოფენაზე წარმოდგენილია იაპონური ტრადიციული თოჯინები, ისეთი როგორც არის *ჰინა ნინგიო* (გოგონების ფესტივალის თოჯინა) და *გოგაცუ ნინგიო* (ბიჭების ფესტივალის თოჯინა). ამ თოჯინების ისტორია სათავეს იღებს უძველესი წესჩვეულებებიდან. ასევე წარმოდგენილია თოჯინები, რომლებიც უკავშირდებიან იაპონურ ტრადიციულ თეატრალურ ხელოვნებას, როგორცაა *ნო*,

*ბუნრაკუ* და *კაბუკი*; თოჯინები იაპონიის სხვადასხვა რეგიონებიდან და თანამედროვე ოსტატების მიერ შექმნილი „კრეატიული თოჯინები“.

გამოფენის პერიოდში ასევე ჩატარდება რამდენიმე ღონისძიება „იაპონიის დღეების“ ფარგლებში. 27 აპრილი: სუშის მასტერ-კლასი, 18 მაისი – ორი-გამის მასტერ კლასი.

იაპონიის საელჩო მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ამ ღონისძიების მხარდაჭერისთვის.

სამადლოვანი

## „ოდა ქართულ ენას!“

14 აპრილს ქ. ფოთში მოენცი ქართული ენის სინმინდის დაცვის დღესთან დაკავშირებული ზეიმი „ოდა ქართულ ენას“, რომელიც ჩატარდა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნუნუ ჭელიძე), სახელოვნებო ცენტრის (დირექტორი ნინო პაჭკორია), მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის (მენეჯერი ნანუკა ლურჯია), მხატვრული კითხვისა და თეატრალური დასის (პედაგოგი ფოთოლა ქავჯაია) წევრების მიერ.

ზეიმზე მინვეული ვიყავით პოეტები ნანული (ნანა) გუნია, ბატონები მურად მთვარელიძე და მიხეილ ლანიშაშვილი (ილტოსპირელი). ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ფოთის მერის მოადგილე, ბატონი გიორგი ფარემიშვილი, ადგილობრივი ხელოვნების მსმენელები და ქალაქის მმართველობის სხვა წარმომადგენლები.

ეს იყო პოეზიის ნამდვილი ზეიმი, სადაც ბავშვები ზეპირად წარმოთქვამდნენ ჩვენს ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ისინი საუბრობდნენ გამართული, სუფთა ქართულით და საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნეს. ამ უნიჭიერებსა ბავშვებმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ასევე მინდა, აღვნიშნო ფოთელი მასპინძლების სტუმართმოყვარეობა, უდიდესი სითბო და სიყვარული, რაც არასოდეს დაგვაკენწყდება.

მადლობა ფოთს და ფოთელებს ასეთი სითბოსა და სიყვარულისთვის. იდღეგრძელო, იხარეთ, იბედნიერეთ.

უფალმა დაგლოცოთ. უდიდესი მადლიერების გრძნობით, ასევე უდიდესი პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით

**ნანული (ნანა) გუნია,**  
სტუმრების მმართველის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აბაშის საპატიო მოქალაქე

## „საშიში ღელა“ სამი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია



ანა ურუშაძის ფილმმა მთავარი ჯილდო Top Golden Gate Prize მიიღო საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის სან ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფილმმა ასევე მიიღო კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის ჯილდო FIPRESCI ევროპული კინოს ფესტივალზე. ამასთან, ნამუშევარი ასევე დაჯილდოვდა საუკეთესო დებიუტისთვის საერთაშორისო კინოფესტივალზე Med Cinema Festival of Tetouan.

### განსაცინებელი ა(მ)ბები

#### საქვან თუ სიმღერა?

მოძალაძე ზომბაზიაში იადონს ყიდულობს.

– ეს თქვენი იადონი მართლა კარგად გალობს?

– აბა! გაგაკვირვებს პირდაპირ! ორი დღის შემდეგ მყიდველმა იადონი უკან მიიყვანა მალაზიაში.

– თქვენი იადონი კოჭლობს, – გაბრაზებული ეუბნება იგი გამყიდველს.

– მაპატიეთ, მაგრამ თქვენ მგალობელი გინდოდათ თუ ბალერინა.

#### ლინგვისტი

– შე მშვენივრად ფვლობ უცხო ენებს.

– Do you Speak english?

– რაო, რაო?

– მე გეკითხები: ინგლისურად ლაპარაკობ-მეთქი?

– მაგას რა კითხვა უნდა.

#### საპატიო მიზეზი

– ბატონო დირექტორო, გთხოვთ, რომ ჩემი ხარჯით გამიშვათ შევბუღებაში.

– რატომ?

– ბებუის დაკრძალვაზე უნდა წავიდე.

– ეგ, მგონი, მესამე ბებიაა, რომელიც მოგიკვდათ.

– რა ჩემი ბრალია, თუ პაპაჩემი როგორც კი ეკრივდებოდა, ახალი ცოლი მოჰყავდა.

#### უკანასკნელი მოწაფე

– რომორ არ გრცხვენიათ, იან? სკოლაში უკანასკნელი მოწაფე ხარ!

– რა ჩემი ბრალია, თუ უკანასკნელი მოწაფე გუშინ სხვა სკოლაში გადაიყვანეს?

#### თეატრალური

– შენ კიდევ მიდინარ თეატრში? ერთხელ ხომ უკვე ნახე ეგ პიესა.

– კი, ვნახე, მაგრამ მაშინ სხვა კაბა მეცვა.

#### სიტყვის კასი

– რომც სვამთ, თვალებს რაღატომ ხუჭავთ?

– საქმე ის არის, რომ ცოლს სიტყვა მივეცი, ჭიქაში ჩამხედავი აღარა ვარ-მეთქი.

#### სტატიისტიკა

– იცით რა, ამას წინათ წავიკითხე, თურმე ათი ცოლ-ქმრიდან მხოლოდ ერთია ბედნიერი. თქვენ რას იტყვით ამის თაობაზე?

– ვერაფერს ვერ ვიტყვი. მე თვითონ მე-სამედ ვარ გათხოვილი.



**რედაქციის მისამართი:**  
 აპოლონი - 2.4172; პირი - 2.9886;  
 ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.4571;  
 100 რუბლი - 3.8982; თურქული ლირა - 0.5901;  
 ანტიკვარული მანათი - 1.4213;  
 1000 სომხური დრამი - 4.9994.

#### აპრილი 18 აპრილისთვის

აპრილისთვის სამარტოვლო:			
ბარა -	ლაპე	+3,	ღვე +23
მთიანი რაიონები -	ლაპე	-1,	ღვე +22
დასავლეთი სამარტოვლო:			
ბარა -	ლაპე	+6,	ღვე +26
მთიანი რაიონები -	ლაპე	+3,	ღვე +22
თბილისი:	ლაპე	+7,	ღვე +20

#### დაავიკავით, მოგვწერეთ:

ტელ: 293-13-34,  
599-79-76-79

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge